სამოქმედო გეგმა

სივიკუსი: სამოქალაქო საზოგადოების ინდექსი

2010

რეზუმე

დოკუმენტში წარმოდგენილი საზოგადოების გაძლიერებაზე მიმართულ რეკომენდაციების ნუსხა. რეკომენდაციები შემუშავებულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის 2008-2010 წლის კვლევის შედეგების საფუძველზე. ადრესატს საქართველოს მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და სხვა დაინტერესებული პირები წარმოადგენენ.

კვლევამ აჩვენა რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორ ყველა მნიშვნელოვან პრობლემას სამოქალაქო ჩართულობის დაბალი დონე და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სფეროებში გავლენის ნაკლებობა წარმოადგენს. წარმოდგენილი რეკომენდაციები ორ კატეგორიად იყოფა: რეკომენდაციები რომელიც მიმართული საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდაზე და დემოკრატიული რეფორმების გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები.

შესავალი

დღეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მოიაზრება როგორც ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში წარმატების მიღწევის გადამწყვეტი ფაქტორი. საზოგადოების სხვადასხვა ფენაში მყარად ფესვგადგმული და ძლიერი სამოქალაქო სექტორი სახელმწიფოს და ბაზრის ზემოქმედების მნიშვნელოვან საპირწონეს ქმნის. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა ამ კონცეფციასა და სამოქალაქო საზოგადოების "რეალურ" ცხოვრებას შორის. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსებული მდგომარეობის შეფასება აუცილებელი წინაპირობაა ამ სექტორის განსავითარებლად.
სივიკუსის სამოქალაქო საზოგადოების ინდექსი, როგორც კვლევის ინსტრუმენტი, შესაბამის მხარეებს დაეხმარება გაიგონ სამოქალაქო საზოგადოების არსებული მდგომარეობა და დასახონ რეალისტური გეგმები მის გასაუმჯობესებლად. კვლევის მესამე ტალღა, რომელშიც გამოყენებულ იქნა გაუმჯობესებული მეთოდოლოგია, ჩატარდა 2008-2010 წლებში. საქართველო მეორედ (2003-2006 წლებში განხორციელებული კვლევის წინამორბედი ფაზის შემდეგ) გახდა პროექტის მონაწილე. მთლიანობაში, მესამე ტალღის კვლევამ მოიცვა 41 ქვეყანა. პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო ქმედებაზე ორიენტირება. ის ეფუძნებოდა პრინციპს, რომ სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა ჯგუფის რაც შეიძლება ფართო სპექტრი ჩართულიყო კვლევის თითოეულ ეტაპზე. კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა გამოყენებულ იქნა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ დისკუსიის დასაწყებად.

სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის მეთოდოლოგიამ საშუალება მოგვცა შეგვეგროვებინა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემები სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის შესახებ. კვლევაში ჩართულები იყვნენ როგორც ექსპერტები, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წევრები, სულ 1800 ადამიანი. სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის შეფასება ოთხი შემდეგი მიმართულებით მოხდა: *სამოქალაქო მონაწილეობა, ორგანიზაციული განვითარების დონე, ღირებულებები* და *გავლენა*. კვლევის შედეგები წარმოდგენილია სამოქალაქო საზოგადოების მოდელის სახით.



საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები

ქვემოთ შეჯამებულია კვლევის ძირითადი შედეგები.

1. სამოქალაქო ჩართულობა

ძლიერი მხარეები

- საქართველოში არსებობს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დაინტერესებულია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებით.
- ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია და სამოქალაქო საზოგადოებას არ უქმნის სერიოზულ პრობლემებს (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ფინანსური საკითხები).
- ქართულ სსო-ებს საკმაოდ კარგი კონტაქტები აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც სტრატეგიულ მოკავშირეებად მოიაზრებიან დემოკრატიული განვითარების პროცესში.
- მიუხედავად შედარებით დასუსტებისა, სსო-ები აგრძელებენ მთელ რიგ აქტივობებს და მზად არიან გააფართოონ საქმიანობის ფორმები და არეალი.

სუსტი მხარეები

- მოსახლეობა, რომლის დიდი ნაწილიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, უფრო დაინტერესებულია საარსებო საშუალებების მოპოვებით, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოების წევრობით.
- ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში მაღალია ნიჰილისტური დამოკიდებულება და უნდობლობა ქვეყანაში განხორციელებული პოლიტიკისადმი.
- საკმაოდ დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, რადგან ინფორმაციის წყაროები მეტწილად პოლიტიზირებულია.
- სამოქალაქო საზოგადოება ნაკლებად წარმოადგენს პლურალიზმის არენას და მაღალია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნებით დაყოფის დონე.
- სსო-ებს ბევრად მჭიდრო ურთიერთობა აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ვიდრე ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილთან.

- დაბალია დემოკრატიული ღირებულებების შესახებ სამოქალაქო განათლების დონე.
- ყოველივე ზემოთქმული გასაგებს ხდის, თუ რატომ არ ვითარდება სათანადოდ მოხალისეობის ინსტიტუტი.

მიუხედავად მთელი რიგი დადებითი მახასიათებლებისა, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა თანამეგობრობა არ არის წევრობაზე ორიენტირებული. წლების მანძილზე იგი ჩამოყალიბდა როგორც დასავლური დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებული, გარკვეულწილად, პრივილეგირებული კასტა, რომელიც საკმაოდ დაშორებულია მოქალაქეთა ყოველდღიური ინტერესებისაგან.

2. ორგანიზაციული განვითარების დონე

ძლიერი მხარეები

- სსო-ებს, საზოგადოების დიდ ნაწილთან შედარებით, აქვს თვითორგანიზების მაღალი უნარი.
- მიუხედავად "ტვინების გადინებისა", აქ საკმაო ოდენობის ადამიანური რესურსია დარჩენილი.
- საკმაოდ ძლიერია როგორც სსო-ების საქმიანობის ტრადიცია, ისე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც მოძველების მიუხედავად, მაინც მუშა მდგომარეობაშია.
- საკმაოდ ინტენსიურია კავშირები როგორც სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტებთან, ისე სექტორის შიგნით.
- შეინიშნება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ინტერესის ხელახალი ზრდა ქართული სამოქალაქო საზოგადოების მიმართ.

სუსტი მხარეები

- სსო-ების ფინანსური მდგრადობა, უმთავრესად, უცხოელ დონორებზეა დამოკიდებული (არ ხდება ადგილობრივი დაფინანსება და თუ ხდება, ესაა პოლიტიკური და სხვა სახის სახელმწიფო დაფინანსება ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სსო-ებისათვის).
- დონორთა ყურადღების შემცირებამ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები წარმოქმნა, განსაკუთრებით, ორგანიზაციული განვითარების სფეროში.
- გარკვეულ პრობლემებს ქმნის კანონმდებლობა ფინანსურ სფეროში (სახელმწიფო ინსტიტუტების მონოპოლიური მდგომარეობა ეკონომიკაში, რთული და, ხშირად გარემოსთან არაადეკვატური, იურიდიული და ფინანსური პროცედურები), რაც აფერხებს სსო-ების მოტივაციას, განახორციელონ მთელი რიგი საზოგადოებრივი სერვისები.
- მმართველობითი ორგანოები ფორმალურად მოქმედებს და გადაწყვეტილებების მიღება, ძირითადად, ერთპიროვნულად ხდება ორგანიზაციათა ლიდერების მიერ.
- სსო-ების უდიდეს ნაწილს არ გააჩნია რეალურად მოქმედი, გაწერილი შიდა რეგულაციები და სახეზეა შრომის დაბალი კულტურა.
- კვლავ დიდია კადრების გადადინება სხვა სექტორებში. სსო-ები არ ფლობენ ახალი ადამიანური რესურსების მოზიდვის ეფექტურ მექანიზმებს.
- სახეზეა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მორალური ცვეთა/მოძველება.
- სუსტია კავშირები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქსელებთან.

ორგანიზაციული კუთხით, სსო-ებში, სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტებთან (არაფორმალური ქსელები და სოციალური ჯგუფები) შედარებით, უფრო განვითარებულნი არიან (იგულისხმება როგორც მენეჯმენტი, ისე ფინანსური და ტექნიკური რესურსები), თუმცა ბოლომდე ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე ორგანიზაციულ მოთხოვნებს. რეალურად, დაწერილი რეგულაციები სსო-ებში ძალზე ცოტაა, ამასთან, უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებენ და მათ პრაქტიკაში არ იყენებენ. არ არსებობს სექტორიდან გასული კადრების როტაციის ნათელი და ეფექტური მექანიზმები.

3. ღირებულებები

ძლიერი მხარეები

- სამოქალაქო საზოგადოებაში, კერძოდ, სსო-ები მნიშვნელოვან ნაწილში საკმაოდ ძლიერია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.
- სულ უფრო და უფრო მეტი ორგანიზაცია აცნობიერებს ანგარიშვალდებულების აუცილებლობას არა მარტო დონორების, არამედ თავისი ბენეფიციარების, დაინტერესებული პირების/სტეიკჰოლდერებისა და, ზოგადად, საზოგადოების წინაშე.
- სექტორი, ამ უკანასკნელის წევრთა შეფასებით, საკმაოდ ინფორმირებულია და კომპეტენტური მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში.
- ქვეყანაში არსებული მთელი რიგი პრობლემების ფონზე, სსო-ებსშეუძლიათ გამოიჩინონ მაღალი დონის პრინციპულობა და ნებელობა დემოკრატიული ღირებულებების განვითარების პროცესში.

სუსტი მხარეები

- სსო-თა წარმომადგენლების შეფასებით, საზოგადოებაში საკმაოდ მაღალია ძალადობა, უფრო ზუსტად, ძალადობის გამოვლენის სურვილი, პოლიტიკური თუ სხვა სახის ოპონენტთა მიმართ. მართალია, ეს მხოლოდ განწყობების (და არა ქმედებების) დონეზეა, მაგრამ შესაბამისი გარემოს შექმნის შემთხვევაში ის შეიძლება სერიოზული ფორმებით გამოვლინდეს.
- დაბალია კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა; პოსტსაბჭოური მენტალობიდან გამომდინარე, ადამიანები ინდივიდუალიზმის ნებისმიერ შეზღუდვას საკმაოდ მტკივნეულად განიცდიან.
- ყოველდღიურ პრაქტიკაში დაბალია სსო-ების კონსოლიდაციის ხარისხი.

შიდა ღირებულებების სფეროში სსო-ებისთა წინაშე მთელი რიგი პრობლემები იკვეთება. მიუხედავად დეკლარირებისა, პრაქტიკაში საკმაოდ სუსტია გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული მექანიზმების გამოყენების არეალი. გადაწყვეტილებები, უპირატესად, მმართველი, მცირე ჯგუფების მიერ მიიღება და მათი გამჭვირვალობის ხარისხი აშკარად დაბალია. სსო-ები არც პლურალიზმის არენას წარმოადგენენ; საკმაოდ მაღალია მათი პოლიტიზაციის დონე და ორგანიზაციათა დაყოფა "ჩვენიანებად" და "მოწინააღმდეგეებად". საკმაოდ მაღალია განსხვავებული ხედვებისადმი არატოლერანტული დამოკიდებულების ხარისხიც. ამავე დროს, სულ უფრო და უფრო მეტი სსო აცნობიერებს, რომ აუცილებელია ცვლილებებისა და მსგავსი ძირეული ღირებულებების გარშემო კონსოლიდაცია.

4. გავლენა

ძლიერი მხარეები

- ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია ხელისუფლებასთან სსო-ების დიალოგის ხარისხი; არსებული პრობლემების ფონზე, ხელისუფლების ნაწილი უკვე თვითონ ცდილობს გააფართოოს დიალოგის ფორმატი.
- საქართველოში, ისევე როგორც სხვა პატრიმონიალური ტიპის საზოგადოებებში, საკმაოდ მაღალია პირადი ურთიერთობების გავლენა; ქართული სსო-ების წარმომადგენლები ქვეყნის ინტელექტუალური ელიტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ; მათ აქვთ საკმაოდ სერიოზული კონტაქტები, რაც წარმატებული საქმიანობის ალბათობას ზრდის.

სუსტი მხარეები

- სსო-ებისს გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკის ფორმირების პროცესებზე მეტად სუსტია; ამას გარკვეულწილად განაპირობებს ის გარემოება, რომ ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფლება არ ამჟღავნებდა სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის სურვილს.
- პრაქტიკულად, არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების და, განსაკუთრებით, სსო-ების კავშირი ბიზნესთან.
- პოლიტიკური პოლარიზაციის გამო გაძნელებულია სსო-ებისგაერთიანება ცალკეული (განსაკუთრებით, პოლიტიკური) საკითხების გადასაწყვეტად.
- დაბალია საზოგადოებაში სსო-თა ცნობადობის ხარისხი.
- დაფინანსების წყაროების შემცირებამ გამოიწვია სსო-თა აქტივობების შემცირება მთელ რიგ სფეროებში.
- დაბალია მედიისა და სსო-თა თანამშრომლობის ინტენსივობა.
- სსო-თა უმეტესობას არ გააჩნია ლობირებისა თუ ადვოკატირების დიდი გამოცდილება.

მიუხედავად მთელი რიგი წარმატებებისა, სუსტია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკის ფორმირების პროცესებზე სსო-ების ზემოქმედების ხარისხი. ცალკეული წარმატებები ხელისუფლებასთან დიალოგში აღინიშნება იქ, სადაც შეთავაზებული ცვლილებები არ ამცირებს ხელისუფლების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა სახის გავლენებს. იქ, სადაც იწყება ძალაუფლების გადანაწილების ან ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობის მოთხოვნა, წარმატების შანსი თითქმის არ არსებობს. სიტუაციას ამძიმებს ის გარემოება, რომ სსო-ებს არ გააჩნიათ ძლიერი დასაყრდენი მოქალაქეთა ფართო ფენების სახით, ვინაიდან სამოქალაქო ჩართულობა სამოქალაქო სექტორში მეტად ვიწროა.

5. გარემო

ძლიერი მხარეები

- ქვეყნის ტრადიციები - მრავალეთნიკურობა და სუბეთნიკური კულტურების მრავალფეროვნება, წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული განათლების შედარებით მაღალი დონე და მოსახლეობისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ოპტიმიზმი და ახალ გარემოში ადაპტაციის უნარი - ზრდის წარმატების მიღწევის შანსებს.
- საქართველოში არსებული კულტურული ფასეულობები (გახსნილობა დასავლური ღირებულებებისადმი), საზოგადოების ამბიცია, უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მიმდინარე პროცესებში, ზრდის დემოკრატიულ გარდაქმნებში წარმატების მიღწევის შანსებს.
- საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, კერძოდ, განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების ინტერესი რეგიონისადმი, დამატებითი პოზიტიური ფაქტორია.

სუსტი მხარეები

- პოლიტიკური არასტაბილობა და ეკონომიკური კრიზისი უარყოფითად მოქმედებს როგორც ქვეყნის, ისე მისი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე.
- მოსახლეობის პოლიტიკური ცნობიერების დაბალი დონე აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების სწრაფ განვითარებას.
- სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ყურადღება სოციალური საკითხებისადმი სსო-ების განვითარების კიდევ ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ.

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი აშკარად ხელს არ უწყობს სამოქალაქო სექტორის სწრაფ განვითარებას. საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებაც საკმაოდ სკეპტიკურია ამ სექტორის საქმიანობებისადმი. თუმცა, ბოლო ხანებში გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციებიც: ჯერ ერთი, ხელისუფლება, საგარეო საზოგადოების თვალში იმიჯის გაუარესებისა და ქვეყნის შიგნით პოპულარობის მკვეთრი შემცირების ფონზე, კვლავ ავლენს სურვილს, განსხვავებულ აზრს მოუსმინოს და ზოგი მოსაზრება კიდეც გაითვალისწინოს. მეორე, საზოგადოებაში იზრდება მოთხოვნა ინფორმირებულობაზე და დემოკრატიულ ღირებულებებზე, რაც სსო-ებმა შეიძლება საკუთარი სოციალური ბაზის გასაძლიერებლად გამოიყენონ.

ქმედების გეგმა

ეროვნული შეხვედრის მონაწილეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ, სსო-ების გაძლიერებას, ზოგადად, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად საქმიანობას და ამ აქტივობების ეფექტიანობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

აღინიშნა ორი მიმართულებით მუშაობის აუცილებლობა: პირველის მიზანია საზოგადოების "გამოღვიძება"; ამ უკანასკნელის გააქტიურება და სამოქალაქო პროცესებში ჩართვა, მეორისა - საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა, რათა მან დაიწყოს/დააჩქაროს ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნების პროცესი. რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების სახითაა წარმოდგენილი, იგი ქართული სამოქალაქო საზოგადოების სტრატეგიულ პარტნიორად მოიაზრება.

ა. საზოგადოების ჩართულობა

ზოგადი მიზანი: სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლების ხელშეწყობა

კონკრეტული მიზნები: სსო-თა საქმიანობის მეტი გამჭვირვალობა; ნაკლები გამოცდილების მქონე სოციალური ჯგუფების მხარდაჭერა

აქტივობები:

- არასამთავრობო ორგანიზაციების საჭიროებების კვლევა
- არაფორმალური კავშირების ფორმალურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ადგილებზე მოხალისეობრივი საწყისების განვითარება
- მედიასთან ერთად ადვოკატირების პროგრამებში მონაწილეობა
- სამოქალაქო განათლების დიდი პროგრამების განხორციელება

აქტორები: ყველა სახის სსო რომელთაც მხარს უჭერს საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტები

საზოგადოების ჩართულობის ზრდა სამოქალაქო საზოგადოების წევრთა მიერ განვითარებისა და შემდგომი წარმატებული საქმიანობის უმთავრეს გარანტად არის მიჩნეული. ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებლი საქმიანობის ჩამონათვალი შეიძლება რამდენიმე მიმართულებად ჩამოყალიბდეს:

- საზოგადოებისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხებისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება და საზოგადოებაში პროპაგანდა, რათა მაქსიმალურად მეტი მოქალაქე ჩაერთოს სსო-ების სამოქმედო გეგმების განხორციელებაში;
- განვითარებისათვის აუცილებელი, მაგრამ საზოგადოებისათვის ნაკლებად აქტუალური თემების პოპულარიზაცია სამოქალაქო განათლების დიდი პროგრამების განხორციელებით;
- მედიასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება, რათა მოხდეს წინა ორი პუნქტის იმპლემენტაცია ორივე მხარისათვის (სსო და მედია) ხელსაყრელი პირობებით;
- მსგავს საკითხებზე მომუშავე არაფორმალური საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთდაკავშირება და ფართო ქსელური სტრუქტურის გამართვა, რათა მოხდეს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია და შეიქმნას საზოგადოებრივი დაკვეთა.

ბ. ორგანიზაციული განვითარება

ზოგადი მიზანი: სსო-ების ორგანიზაციული უნარების ზრდა

კონკრეტული მიზნები: ადამიანური რესურსების და ფინანსური მდგრადობის კორელირება

აქტივობები:

- წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციებისათვის სოციალური მეწარმეობის წახალისება
- სახელმწიფო დაკვეთებზე (ტენდერები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა
- ქველმოქმედების წამახალისებელი კანონმდებლობის მიღება
- თანამედროვე ორგანიზაციული სტანდარტების შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება
- დონორების მიერ წარმოებული პოლიტიკის დაგეგმვაში მონაწილეობა
- საერთაშორისო კავშირების გაფართოება (საერთაშორისო ქსელების ჩათვლით)
- ორგანიზაციული განვითარების ტრენინგების ციკლები.

აქტორები: თინკ-ტენკები, დონორი ორგანიზაციები, ტრენინგ-პროვაიდერები, საზღვარგარეთ არსებული შესაბამისი კონსალტინგური ორგანიზაციები, მედია

დასახული მიზნების მისაღწევად და საკუთარი როლის გასაზრდელად აუცილებელია თვით მდგრადი ორგანიზაციული განვითარების უზრუნველყოფა, რისთვისაც აუცილებელია:

- რეალისტური შიდაორგანიზაციული რეგულაციების შემუშავება და მათი ყოველდღიურ პრქტიკაში დანერგვა;

- ცალკეულ სფეროებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე ქსელური მუშაობის გააქტიურება და გაძლიერება, რომლის მიზანიც უნდა იყოს არსებული გამოცდილებების ურთიერთგაცვლა და ერთიანი საქმიანობის კოორდინაცია;
- სსო-თა (განსაკუთრებით, ახალ ორგანიზაციათა) პერსონალისათვის ტრენინგებისა და უნარების ამაღლებაზე მიმართული აქტივობების (ინტერნშიპი, ვიზიტები, სემინარები) მუდმივმოქმედი სისტემის ჩამოყალიბება ადამიანური რესურსების მდგრადი განვითარების მიზნით;
- დონორ ორგანიზაციებთან სისტემატური მუშაობა არა მხოლოდ არსებული პროგრამების იმპლემენტაციის, არამედ ახალი პროგრამების დაგეგმვის პროცესშიც (მაგალითად, ორგანიზაციული განვითარების მხარდაჭერა პროირიტეტულ სფეროებში და ა.შ.);
- პერმანენტული მუშაობა როგორც საერთაშორისო დონეზე ფანდრაიზინგის ბაზის გასაფართოებლად, ისე ადგილობრივი დაფინანსების წყაროების მოსაძიებლად (პირველ რიგში, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, შემდეგ ბიზნესის დონეზე და ბოლო ეტაპზე - ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების პარალელურად - პოლიტიკურად არაანგაჟირებული, ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება).

გ. ღირებულებები

ზოგადი მიზანი: ფასეულობებთან დაკავშირებული პრაქტიკის არსებული რეალობის გაუმჯობესება

კონკრეტული მიზნები: გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პრაქტიკის დამკვიდრება; სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობათა რევიზია და ახალ გამოწვევებთან მათი ადაპტირება; არატოლერანტული, ძალადობრივი და კორუფციული ძალების გავლენის არეალის შეზღუდვა

აქტივობები:
- ტრენინგების, ვორკშოპებისა და სემინარების ორგანიზება სამოქალაქო განათლების სფეროში
- რეალისტური სტანდარტებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება და იმპლემენტაცია
- ქცევის, ეთიკისა და პროფესიული ღირსების კოდექსების შემუშავება
- სხვადასხვა (მათ შორის, მარგინალიზებული) სოციალური ჯგუფების ჩართვა დიდ პროგრამებში

აქტორები: სსო-ები, ხელისუფლება, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფი, პროფესიული და თავისუფალი ასოციაციები, დონორი ორგანიზაციები

ნათლად გამოკვეთილი შიდა ღირებულებების არსებობის გარეშე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები არარეალისტურად მიიჩნევენ სექტორის შემდგომ განვითარებას. მგდრადი განვითარების მისაღწევად საჭიროა:
- ეროვნულ დონეზე შეიქმნას არენა (ფორუმი) სხვასდასხვა სფეროში მომუშავე ორგანიზაციათა ღირებულებების ურთიერთგასაზიარებლად და გასაცვლელად; შემუშავდეს სექტორის საქმიანობის ამსახველი ერთიანი პლატფორმა, ყველას მიერ გაზიარებულ, ძირითად ღირებულებით პრინციპებზე დაყრდნობით;

- პლატფორმის ბაზაზე შემუშავდეს შიდა რეგულაციების განმსაზღვრელი სტანდარტები (ეთიკისა და ქცევის კოდექსები და სხვ.), რომელთაც გაიზიარებს სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა უმრავლესობა;
- განხორციელდეს ღირებულებითი სტანდარტების შესახებ სამოქალაქო განათლების პროგრამები უშუალოდ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისათვის;
- რეალურად ამოქმედდეს დემოკრატიული მართვის მექანიზმები; გაიზარდოს მმართველობითი ორგანოების (გამგეობა, საბჭო) საქმიანობის გამჭვირვალობა და დამკვიდრდეს როტაციის პრინციპი; შეიქმნას ეფექტური მექანიზმები თანამშრომელთა ინფორმირების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩასართავად.

დ. გავლენა

ზოგადი მიზანი: სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე სსო-ებისგავლენის ზრდა

კონკრეტული მიზნები: სწრაფი გავლენა სფეროებზე, სადაც ადვილად შესაძლებელია გავლენის მიღწევა (ნაკლებად პოლიტიზირებული სფეროები: კულტურა, სპორტი); მდგრადი ზემოქმედების შექმნა სფეროებზე, სადაც უკიდურესად რთულია/გაძნელებულია გავლენის მოხდენა (ადამიანის უფლებების დაცვა, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის შეცვლა საზოგადოებაში არსებული რეალური მოთხოვნების დონეზე, კონფლიქტურ ზონებში დიალოგის წარმოება, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური პოლიტიკის ადაპტაცია ქვეყნის საჭიროებებთან)

აქტივობები:
- სსო-თა კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული ქსელების ფორმირება
- არსებული ხედვების გასავრცელებლად საინფორმაციო კამპანიების წარმოება
- საგანმანათლებლო საქმიანობა - სამოქალაქო განათლების პროგრამები
- სამართლებრივი ბაზის სრულყოფა
- ფანდრაიზინგის სისტემების გაძლიერება დაგეგმილი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან კონსულტაციების ინტენსივობის გაზრდა

აქტორები: სსო-ები (და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოება), ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების აქტორები (მედია, პოლიტიკური პარტიები)

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე სსო-ების ზეგავლენის ხარისხის გასაზრდელად უნდა განხორციელდეს ქმედებანი რამდენიმე მიმართულებით:
- ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ ხედვების (კონცეპციების, პოლისების) და სამოქმედო გეგმების შემუშავება თინკ-ტანკებისა და ექსპერტთა ფართო წრის მონაწილეობით
- შედარებით იოლად რეალიზებადი საკითხების (მაგალითად, ნაკლებად პოლიტიზირებული სფეროები) მყისიერად გადაწყვეტის წარმატებული მაგალითების შექმნა, რათა მოხდეს საზოგადოებაში არსებული ფრუსტრაციის მაღალი დონის შემცირება;

- ძნელად რეალიზებად გამოწვევებზე (პოლიტიკური საკითხები, დემორატიზაციის პროცესი, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ზრდა, ადამიანის უფლებები) საზოგადოებრივი აზრის მობილიზების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების პროგრამების განხორციელებით, რომლის მიზანიც უნდა იყოს მდგრადი საზოგადოებრივი დაკვეთის ფორმირება ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით;
- ზემოხსენებული პრობლემების მოსაგვარებლად სსო-თა კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული ქსელების ფორმირება, სადაც წამყვანი ძალა სფეროში ქაოტურად მოღვაწე სსო-ები იქნებიან, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტები შექმნიან მხარდამჭერ ჯგუფს საინფორმაციო კამპანიების, ადვოკატირებისა და ლობირების წარმოქმის პროცესში.
- სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი რეალობასთან ადაპტირება საქართველოს ხელისუფლებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან მჭიდრო თანამშრომლობით

ე. გარემო

ზოგადი მიზანი: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობა; მსოფლიო სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის ხელშეწყობა; დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება

კონკრეტული მიზნები: ქვეყნის ეკონომიკური უნარების და კონკურენტუნარიანობის ზრდა; სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება; ინსტიტუციონალური განვითარება ყველა დონეზე; დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება; მოსახლეობის სოციალური გააქტიურება; კანონის უზენაესობის პრინციპის რეალიზაცია; ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება-განვითარება

აქტივობები:
- ერთობლივი (რეგიონული, საერთაშორისო, კონფლიქტების ზონების) პროექტების განხორციელება
- მრავალეთნიკური და დივერსიფიცირებული კულტურის პოპულარიზაცია
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
- სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციალური და კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობა
- მაღალპროფესიული ტრენინგ-სემინარების ჩატარება სამიზნე ჯგუფებისათვის
- დემოკრატიულ პროცესებში ინსტიტუციური მექანიზმების განვითარება/გაძლიერება

აქტორები: მთლიანად სამოქალაქო საზოგადოება (ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ)

არსებულ გარემოზე ზემოქმედების მოსახდენად საჭიროა ყველა ზემოჩამოთვლი საქმიანობა მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდეს. ამასთან, უნდა დაემატოს იმ სახის აქტივობები, რომლებიც უშუალოდ გარემოს ცვლილებაზეა ორიენტირებული. ესენია:
- საქართველოში არსებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. მრავალფეროვნების პოპულარიზაცია და ტოლერანტობის პროპაგანდა

- სხვადასხვა სოციალურ (განსაკუთრებით, მარგინალიზებულ) ჯგუფთა ჩართვა საქმიანობის პროცესში და მათი ურთიერთდაკავშირების გზით ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა
- კანონის უზენაესობის პრინციპის განუხრელი დაცვა და ვოჩდოგი ორგანიზაციებისა და ქსელების მხარდაჭერა სხვა სფეროში მოღვაწე სსო-ების მიერ (სექტორის შიგნით სოლიდარობის პასუხისმგენლობის გაჩენა/ზრდა)
- საერთაშოროსო ორგანიზაციებთან, ხელისუფლებასთან და ბიზნესთან ერთად ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას (სოციალური უზრუნველყოფის, განათლების დონის ამაღლების, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების პროვაიდერობა)
- დაბოლოს, მუშაობა, რათა ხელი შეეწყოს მდგრადი საზოგადოებრივი დაკვეთის ფორმირებას იმ სფეროებში, რომლებიც ჩართულნი არიან ქვეყნის რეფორმირების პროცესში.